ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2577437

ნომერი: AR1399579

თარიღი : 25.04.2016

გაცემის თარიღი : 04.05.2016

გაცნობის თარიღი : 04.05.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ახვლედიანი , N 6ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მასხულია პ/ნ 01015003627
- თბილისი მტკვრის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

1. მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, შპს "ემ სი ემ"-ის დირექტორი, დავით ჯაყელი დაარეგისტრირეთ თანაგანმცხადებლად ან წარმოადგინეთ მისი შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობა.

2. წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის იპოთეკარის, სს "ვითიბი ბანკი"-ს თანხმობა, იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

3. "მოთხოვნის ტექსტი"-ს გრაფაში დააკონკრეტეთ საპროექტო შენობის ფუქნციური დანიშნულება. ასევე დააზუსტეთ არსებული ნაგებობის საკითხი, ხორციელდება თუ არა მისი დემონტაჟი.

4. ფოტომონტაჟზე დაიტანეთ საპროექტო შენობის გაბარიტული ზომები. ასევე წარმოადგინეთ შენობის ჭრილი ობიექტის სართულიანობის და სიმაღლეების დასადგენად. აქვე გაითვალისწინეთ, რომ I კლასს განეკუთვნება 60.0 კვ.მ.-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5.0 მეტრამდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2.0 მეტრამდე ჩაღრმავების მქონე შენობა.

5. წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო შენობის დატანით. შენობის კიდიდან მიწის ნაკვეთზე განთავსებულ ხემდე მანძილის მითითებით. გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული მანძილი უნდა განისაზღვროს მინიმუმ 1.0 მეტრით.

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.